გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან:

ქართ. **XI. 1.** მოსწავლეს შეუძლია საჯარო მოხსენების წარმოდგენა (ზეპირი გამოსვლა) კონკრეტული აუდიტორიის წინაშე კონკრეტული მიზნით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მკაფიოდ, ცხადად და გასაგებად აყალიბებს განსახილველი საკითხის არსს, პრობლემის განმსაზღვრელ ასპექტებს და საკუთარ მოსაზრებას;
- საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად იყენებს ციტატებს მხატვრული ნაწარმოებებიდან,

ქართ. XI. 7. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების ენობრივი საშუალებების გაანალიზება მათი ფუნქციონირების თვალსაზრისით.

• მსჯელობს მხატვრულ ტექსტში შინაარსის გადმოცემის სხვადასხვა ენობრივ და მხატვრულ საშუალებაზე;

ქართ. XI. 8. მოსწავლეს შეუძლია კითხვის ეფექტური სტრატეგიების არჩევა და გამოყენება

• იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას შესწავლითი კითხვის დროს უცნობი სიტყვის მნიშვნელობის გასაგებად (კონტექსტი, სიტყვათა აგებულების ცოდნა, ლექსიკონი)

ქართ. XI. 9. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების წერილობით გაანალიზება. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

• აანალიზებს პერსონაჟთა სახეებს, აჯგუფებს კონფლიქტთან მიმართებით და განსაზღვრავს მათს როლს სიუჟეტის განვითარებაში; • მსჯელობს ავტორის პოზიციისა და იმის შესახებ, როგორ გამოიხატება ეს პოზიცია ნაწარმოებში;

| # | აქტივობის მიზანი და აღწერა | გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები | კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები | სასწავლო რესურსები (დასაბუთეთ შინაარსობრივი რესურსების მიზანშეწონილობა სასწავლო მიზანთან მიმართებით) | დრო (წთ) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კლასის ორგანიზება (მისალმება, დასწრების შემოწმება) | ვერბალური | საერთო-საკლასო | საკლასო ჟურნალი | 1წთ |
| 2 | მოსწავლეებისათვის გაკვეთილის თემის, მიზნების, შეფასების კრიტერიუმების გაცნობა, მოლოდინების განსზღვრა; (მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის თემას, მიზანს, მოსწავლეების დახმარებით გამოკვეთს მოლოდინებს) | ვერბალური | საერთო-საკლასო | გაკვეთილის გეგმა; შეფასების რუბრიკები; ამობეჭდილი და თვალსაჩინოდ გაკრული; მომზადებული თვალსაჩინოება შეფასებას ხდის მოსწავლისათვის გამჭვირვალეს, ობიექტურსა და რელევანტურს. | 2 წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3 | აქტივობა **N1** საშინაო დავალების შემოწმება,<br>აქტივობის მიზანი: თემისა და ჯოყოლას პრობლემების ანალიზი.<br>აქტივობის აღწერა:ჯგუფები ირჩევენ პრეზენტატორებს, რომლებიც აკეთებენ საშინაო დავალების პრეზენტაციებს, ერთი ჯგუფი მისცემს რჩევებს ჯოყოლას, მეორე ჯგუფი თემს. | პრეზენტაცია | ჯგუფები; | ფლიფჩარტი, მოსწავლეები აძლევენ რჩევებს ჯოყოლასა და თემს, სადაც გამოიკვეთება მათი შეხედულებები, რაც ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას. | 6 წთ |
| 4 | აქტივობა **N 2** ფილმის ჩვენება. ნაწყვეტი ფილმიდან ,,ვედრება“ მიზანი: თემისა და ჯოყოლას დაპირისპირების ჩვენება; ლექსიკონზე მუშაობა.<br>აქტივობის აღწერა: მასწავლებელი კლასს განუმარტავს უცხო ტერმინებს, რომლებიც შეხვდებათ ტექსტის გაცნობის დროს, თან ამატებს მოსწავლეებთან ერთად გაკეთებულ ,,ვაჟას ლექსიკონში“ სიტყვებს.<br>მასწავლებელი აჩვენებს ნაწყვეტს ფილმიდან ,,ვედრება“ სადაც ჩანს თემისა და ჯოყოლას დაპირისპირება; | ფილმის ჩვენება | მთელი კლასი | პროექტორი, კომპიუტერი, დინამიკი. ფლიფჩარტი. მოსწავლეები ვიზუალურად გაიცნობენ პერსონაჟებს; ნახავენ თემისა და ჯოყოლას დაპირისპირებას; | 6 წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 5 | აქტივობა **N3** :<br>მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ თემისა და ჯოყოლას სიმართლის გააზრება;<br>აქტივობის აღწერა მასწავლებელი კლასს უკითხავს ნოდარ ნათაძისა და აკაი ბაქრაძის თვალსაზრისებს, შემდეგ ყოფს ორ ჯგუფად და აძლევს დავალებებს:<br>I ჯგუფი: არგუმენტებით, ტექსტის დახმარებით დაამტკიცეთ ჯოყოლას სიმართლე; ჩამოაყალიბეთ თეზისებად;<br>II ჯგუფი: არგუმენტებით, ტექსტის დახმარებით დაამტკიცეთ თემის სიმართლე; ჩამოაყალიბეთ თეზისებად;<br><br>ჯგუფები ირჩევენ პრეზენტატორებს, რომლებიც აკეთებენ პრეზენტაციებს; | აქტიური მსჯელობა | ჯგუფური | ფლიფჩარტი, სახელმძღვანელო;<br>ლიტერატურა: ქართველი მწერლები სკოლაში - ვაჟა ფშაველა - II ნაწილი. თბილისი 2001. გვ.230 | 15 წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 6 | აქტივობა **N4** ჩემი ფრაზეოლოგიური გამონათქვამი;<br>აქტივობის მიზანი: მოსწავლეები მოძებნიან ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს და იმსჯელებენ მათ დანიშნულებაზე;<br>აქტივობის აღწერა: მასწავლებელი კლასს უნაწილებს ბარათებს და სთხოვს, აირჩიონ ერთი ფრაზეოლოგიური გამონათქვამი, ამოიწერონ, განმარტონ, ვინ ამბობს ამ სიტყვებს და რატომ აირჩიეს ეს გამონათქვამი;<br>მოსწავლეები ბარათებს განათავსებენ ფლიფჩარტზე: ,,ვაჟას ფრაზეოლოგია." | მსჯელობა, | ინდივიდუალური | სახელმძღვანელო, ფლიფჩარტი ,,ვაჟას ფრაზეოლოგია" წებოვანი ფურცლები. | 6 წთ |
| 7 | აქტივობა **N 5** პრობლემის ანალიზი<br>აქტივობის მიზანი:მოსწავლემ გააანალიზოს ნაწარმოებში წამოჭრილი პრობლემები, დაუკავშიროს დღევანდელობას, დასახოს პრობლემის გადაჭრის გზები.<br>აქტივობის აღწერა: მოსწავლეები სამი ფერის წებოვან ქაღალდზე წერენ:<br>1. პრობლემა, რომელიც დავინახე ნაწარმოებში;<br>2. პრობლემა, რომელსაც დღესაც ვხედავ საზოგადოებაში;<br>3. ჩემი გზავნილი საზოგადოებას;<br>მოსწავლეები ბარათებს განათავსებენ თვითშეფასების ცხრილზე; | თვითშეფასება | ინდივიდუალური | თვითშერფასების ცხრილი;<br>მოსწავლეები აკეთებენ ნაწარმოების ანალიზს, კავშირებენ თანამედროვეობას და სახავენ პრობლემის გადაჭრის გზებს; | 5 წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 8 | მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და აფასებს კლასს განმავითარებელი შეფასებით; | მასწავლებლის შეფასება | ინდივიდუალური | შეფასების რუბრიკა | 2 წთ |
| 9 | აქტივობა **N 7**საშინაო დავალების მიცემა;<br>აქტივობის მიზანი: ნაწარმოების გააზრება;<br>აქტივობის აღწერა: მასწავლებელი კლასს სთხოვს, წარმოიდგინონ, რომ არიან ჯოყოლას თანასოფლელები და მომსწრე ჯოყოლასა და თემის დაპირისპირების, მისწერონ წერილი და გადმოსცენ დღევანდელ თაობას ის, რაც დაინახეს, ყურადღება გაამახვილონ ჯოყოლას გრძნობებზე, შეეცადონ, ისაუბრონ თავიანთ გრძნობებზეც; | ესე | ინდივიდუალური. | იგავი | 2 წთ |

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლე შეძლებს:

- გაიაზროს მონაკვეთის მთავარი სათქმელი;
- გააანალიზებს თემისა და ჯოყოლას პრობლემებს,
- მოიძევს ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს და იმსჯელებს მათ დანიშნულებაზე;
- დააკავშირებს ნაწარმოებში წამოჭრილ პრობლემებს დღევანდელობასთან;
- გამოიტანს დასკვნას, თუ როგორ უნდა მიიღოს საზოგადოებამ განსხვავებული შეხედულების ადამიანი;

შეფასების კრიტერიუმები:

საშინაო დავალების შეფასების რუბრიკა;

| კრიტერიუმი | ძალიან კარგი | კარგი | დამაკმაყოფილებელი | არადამაკმაყოფილებელი |
|---|---|---|---|---|
| რჩევები პერსონაჟებს; | მოსწავლე აძლევს რჩევებს პერსონაჟებს, ითვალისწინებს ეპოქას, ავლენს ნაწარმოების ცოდნასა და აანალიზებს პრობლემებს. | მოსწავლე აძლევს რჩევებს პერსონაჟებს, ითვალისწინებს ეპოქას, მეტ-ნაკლებად ავლენს ნაწარმოების ცოდნას და აანალიზებს პრობლემებს. | მოსწავლეაძლევს რჩევებს პერსონაჟებს, თუმცა ვერ ითვალისწინებს ეპოქას ან ვერ ავლენს ნაწარმოების ცოდნას. | მოსწავლეაძლევს რჩევებს პერსონაჟებს, თუმცა ვერ ითვალისწინებს ეპოქას და ვერ ავლენს ნაწარმოების ცოდნას. |

ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა;

| კრიტერიუმი | ძალიან კარგი | კარგი | დამაკმაყოფილებელი | არადამაკმაყოფილებელი |
|---|---|---|---|---|
| თემისა და ჯოყოლას სიმართლის გააზრება. | ჯგუფი აანალიზებს თემის/ ჯოჯოლას სიმართლეს, მოჰყავს დამაჯერებელი არგუმენტები, ადეკვატური ციტატრები, მოჰყავს ადეკვატური ფრაზეოლოგიური გამონათქვამები. | ჯგუფი აანალიზებს თემის/ჯოჯოლას სიმართლეს, მოჰყავს დამაჯერებელი არგუმენტები, მეტ-ნაკლებად ადეკვატური ციტატრები, მოჰყავს რამდენიმე ადეკვატური ფრაზეოლოგიური გამონათქვამი. | ჯგუფი აანალიზებს თემის/ჯოჯოლას სიმართლეს, მოჰყავს მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი არგუმენტები. | ჯგუფი ვერ აანალიზებს თემის/ ჯოჯოლას სიმართლეს, |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| არგუმენტირებული მსჯელობა; | ჯგუფი მსჯელობს არგუმუნტებით, ასაბუთებს დამაჯერებლად. | ჯგუფი მსჯელობს არგუმენტებით, მეტ-ნაკლებად დამაჯერებლად. | ჯგუფს უჭირს არგუმენტირება და დამაჯერებელი მსჯელობა. | ჯგუფი ვერ მსჯელობს არგუმენტებით. |
| დროის ლიმიტი | საუკეთესოდ იცავენ დროის ლიმიტს | საკმარისად იცავენ დროის ლიმიტს | უჭირთ დროის ლიმიტის დაცვა. | ვერ იცავენ დროის ლიმიტს. |
| თანამშრომლობა | ჯგუფის ყველა წევრი აქტიურია, მათ შორის არის პოზიტიური და საქმიქნი ურთიერთობა. | ჯგუფის თითქმის ყველა წევრი აქტიურია, მათ შორის არის პოზოტიური და საქმიანი ურთიერთობა. | ჯგუფის რამდენიმე წევრი აქტიურია. | ჯგუფის წევრები არ არიან აქტიურები. |

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

| კრიტერიუმები | დიახ | ნაწილობრივ | არა |
|---|---|---|---|
| მომზადებული პრეზენტაცია პასუხობს თემას | | | |
| პრეზენტატორი ფლობს აუდიტორიას (იყენებს ჟესტებს, მიმიკას, ინტონაციას) | | | |
| იცავს დროის ლიმიტს | | | |

დანართი N1

თვალსაზრისი:

ნოდარ ნათაძე

,,...ამ ორი პოემის(,,ალუდა ქეთელაური“, ,,სტუმარ-მასპინძელი“) გმირები თავიანთ ამაღლებულსა და ბუნებრივ გრძნობებს მიჰყვებიან, მაგრამ ეს გრძნობები შეუთავსებელიია ცხოვრების მოთხოვნილებებთან, მათი ჰუმანური იდეალები ნადგურდება, თვით ეს გმირები იღუპებიან, ეჭვი არ არის, რომ ვაჟას სიმპათიები ამ უკანასკნელის მხარეზეა, მაგრამ ვაჟა ნათლად გვაგრძნობინებს კონფლიქტის მეორე მხარის სიმართლესაც.“

აკაკი ბაქრაძე

საზოგადოება ვერ დაუშვებს,რომ ყოველი პიროვნება, რარიგ ვაჟკაცი და მართალიც უნდა იყოს იგი, იქცეოდეს ისე, როგორც მის გუნება-განწყობიულებას მოესურვება, ამგვარი თავისუფლების დროს საზოგადოების ერთიოანობა-მთლიანობა დაიშლება და ქაოსი გამეფდება, ქაოსი კი დაღუპვით დაემუქრება როგორც პიროვნებას, ისე მთერლ საზოგადოებას.

დანართი N2

თვითშეფასების ცხრილი:

| | | |
|---|---|---|
| პრობლემა, რომელიც დავინახე ნაწარმოებში; | პრობლემა, რომელსაც ვხედავ დღესაც საზოგადოებაში; | ჩემი გზავნილი საზოგადოებას; |

| | | |
|---|---|---|
| | | |

ხელმოწერა: ციცინო გობაძე

თარიღი 22.04.2019

vv

გაკვეთილის გეგმა

N4

მოსწავლეთა რაოდენობა[7]: 10/სსსმ მოსწავლე არ მყავს.

გაკვეთილის თემა: ვაჟა-ფშაველას ,,სტუმარ-მასპინძელი“ VI-VII თავები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლე შეძლებს მონაკვეთის მთავარი სათქმელის გააზრებას, გააანალიზებს თემის განწყობის ცვლილებას მოკლული ზვიადაურის მიმართ, იმსჯელებს ზვიადაურის ,მხატვრულ სახეზე, შეადარებს ვაჟას სხვა პერსონაჟებს;

გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან:

ქართ. **XI. 1**. მოსწავლეს შეუძლია საჯარო მოხსენების წარმოდგენა (ზეპირი გამოსვლა) კონკრეტული აუდიტორიის წინაშე კონკრეტული მიზნით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მკაფიოდ, ცხადად და გასაგებად აყალიბებს განსახილველი საკითხის არსს, პრობლემის განმსაზღვრელი ასპექტებს და საკუთარ მოსაზრებას;
- საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად იყენებს ციტატებს მხატვრული ნაწარმოებებიდან,

ქართ. XI. 7. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების ენობრივი საშუალებების გაანალიზება მათი ფუნქციონირების თვალსაზრისით.

• მსჯელობს მხატვრულ ტექსტში შინაარსის გადმოცემის სხვადასხვა ენობრივ და მხატვრულ საშუალებაზე;

ქართ. XI. 8. მოსწავლეს შეუძლია კითხვის ეფექტური სტრატეგიების არჩევა და გამოყენება

• იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას შესწავლითი კითხვის დროს უცნობი სიტყვის მნიშვნელობის გასაგებად (კონტექსტი, სიტყვათა აგებულების ცოდნა, ლექსიკონი)

ქართ. XI. 9. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების წერილობით გაანალიზება. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

• აანალიზებს პერსონაჟთა სახეებს, აჯგუფებს კონფლიქტთან მიმართებით და განსაზღვრავს მათს როლს სიუჟეტის განვითარებაში; • მსჯელობს ავტორის პოზიციისა და იმის შესახებ, როგორ გამოიხატება ეს პოზიცია ნაწარმოებში;

| # | აქტივობის მიზანი და აღწერა | გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები | კლასის ორგანიზების ფორმა / ფორმები | სასწავლო რესურსები (დაასაბუთეთ შინაარსობრივი რესურსების მიზანშეწონილობა სასწავლო მიზანთან მიმართებით) | დრო (წთ) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კლასის ორგანიზება (მისალმება, დასწრების შემოწმება) | ვერბალური | საერთო - საკლასო | საკლასო ჟურნალი | 1წთ |
| 2 | მოსწავლეებისათვის გაკვეთილის თემის, მიზნების, შეფასების კრიტერიუმების გაცნობა, მოლოდინების განსზღვრა; (მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის თემას, მიზანს, მოსწავლეების დახმარებით გამოკვეთს მოლოდინებს) | ვერბალური | საერთო - საკლასო | გაკვეთილის გეგმა; შეფასების რუბრიკები; ამობეჭდილი და თვალსაჩინოდ გაკრული; მომზადებული თვალსაჩინოება შეფასებას ხდის მოსწავლისათვის გამჭვირვალეს, ობიექტურსა და რელევანტურს. | 2 წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3 | აქტივობა **N1** საშინაო დავალების შემოწმება,<br>აქტივობის მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება; ახალი ცოდნის მიღებისათვის მზაობა;<br>აქტივობის აღწერა: მოსწავლეებს აქვთ საშინაო დავალებად ესე: წარმოიდგინონ, რომ არიან ჯოყოლას თანასოფლელები და მომსწრე ჯოყოლასა და თემის დაპირისპირების, მისწერონ წერილი და გადმოსცენ დღევანდელ თაობას ის, რაც დაინახეს, ყურადღება გაამახვილონ ჯოყოლას გრძნობებზე, შეეცადონ, ისაუბრონ თავიანთ გრძნობებზეც;<br>რამდენიმე მოსწავლე თავიანთი სურვილით კითხულობს დავალებას, მასწავლებელი და მოსწავლეები უკეთებენ უკუკავშირს; | პრეზენტაცია | ინდივიდუალური | საშინაო დავალების რვეულ;ები;<br>სახელმძღვანელო; | 6 წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3 | აქტივობა **N 2** ტექსტის მხატვრული ანალიზი;<br>მიზანი: ტექსტის მხატვრული ანალიზი, დაკავშირება შესწავლილ ნაწარმოებეთან;<br>აქტივობის აღწერა: მასწავლებელი ამატებს ,,ვაჟას ლექსიკონს“ უცნობი სიტყვების განმარტყებებს, რომლების შეგვხდება დღეს ნაწარმოებში; შემდეგ წყვილებს აძლევს სქემებს შესავსებად, სადაც მოცემულია ნაწყვეტები ნაწარმოების VI თავიდან, მოსწავლეებმა უნდა გააანალიზონ მოცემული სტროფები, იპოვონ მხატვრული ხერხები, დააკავშირონ შესწავლილ ნაწარმოებებს. | | წყვილებში | ფლიფჩარტი, ტექსტის მხატვრული ანალიზის სქემა; | 12 წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 4 | აქტივობა **N3** : ტექსტზე მუშაობა;<br>მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ თემის განწყობის ცვლილების ანალიზი;<br>აქტივობის აღწერა: მასწავლებელი კლასს უკითხავს მონაკვეთს VII თავიდან, გზადაგზა ჩერდება და უსვამს კითხვებს,<br>• ,,ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა“, რომელი პერსონაჟების სიტყვებს გვახსენებს?<br>• ვინ შეიძლება იყოს ქალი, რომელიც ,,ბნდებოდა“ ტირილით, შემდეგ მასწავლებელი ჯგუფებს აძლევს დავალებებს:<br>I ჯგუფი: იმსჯელეთ, თემის განწყობის შესახებ ზვიადაურის სიკვდილამდე; თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ არგუმენტებით;<br>II ჯგუფი: იმსჯელეთ, თემის განწყობაზე ზვიადაურის სიკვდილის შემდეგ; თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ არგუმენტებით;<br>III ჯგუფი: დაახასიათეთ ზვიადაური, შეადარეთ ვაჟას სხვა პერსონაჟებს;<br>ჯგუფები ირჩევენ პრეზენტატორებს და აკეთებენ პრეზენტაციას, | კითხვა;<br>აქტიური მსჯელობა | ჯგუფური | ფლიფჩარტი, სახელმძღვანელო;<br>ლიტერატურა: სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები: ვაჟა-ფშაველა, II ნაწილი. (გამომცემლობა ,,დია“ თბილისი 2002). | 16 წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | აქტივობა **N7** საშინაო დავალების მიცემა:<br>აქტივობის მიზანი: მოსწავლეები იმსჯელებენ აღაზას შესახებ; მოემზადებიან მომდევნო გაკვეთილისათვის.<br>აქტივობის აღწერა: მასწავლებელი ჯგუფებს აძლევს დავალებებს, წაიკითხონ VII თავი<br>I ჯგუფი: გამოიყენეთ მოცემული გეგმა და ჩამოაყალიბეთ თეზისებად: ,,აღაზა და თემი“<br>II ჯგუფი: გამოიყენეთ გეგმა და ჩამოაყალიბეთ თეზისებად ,,აღაზა და ზვიადაური“;<br>III ჯგუფი: გამოიყენეთ გეგმა და ჩამოაყალიბეთ თეზისებად: ,,აღაზას შინაგანი სამყარო“ | | | | 2 წთ |
| | აქტივობა **N** შეფასება<br>მასწავლებელი სვამს რამდენიმე საანალიზო კითხვას და მოსწავლეებს აფასებს განმავითარებელი შეფასებით, მოსწავლეები სამი ფერის წეპოვან ქაღალდზე წერენ:<br>4. პრობლემა, რომელიც დავინახე ნაწარმოებში;<br>5. პრობლემა, რომელსაც დღესაც ვხედავ საზოგადოებაში;<br>6. ჩემი გზავნილი საზოგადოებას;<br>ქაღალდებს აკრავენ თვითშეფასების ცხრილზე; | თვითშეფასება | ინდივიდუალური | თვითშერფასების ცხრილი;<br>მოსწავლეები აკეთებენ ნაწარმოების ანალიზს, კავშირებენ თანამედროვეობას და სახავენ პრობლემის გადაჭრის გზებს; | 6წთ |

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლე შეძლებს:

- ➢ გაიაზრებს მონაკვეთის მთავარ სათქმელს;
- ➢ გააანალიზებს თემის განწყობის ცვლილებას მოკლული ზვიადაურის მიმართ,
- ➢ იმსჯელებს ზვიადაურის სახეზე, შეადარებს ვაჟას სხვა პერსონაჟებს;
- ➢ იმსჯელებს ნაწარმოებში წამოჭრილ პრობლემებზე, დაუკავშირებს დღევანდელობას და დასახავს პრობლემის გადაჭრის გზებს.

საშინაო დავალების შეფასების რუბრიკა;

| კრიტერიუმი | ძალიან კარგი | კარგი | დამაკმაყოფილებელი | არადამაკმაყოფილებელი |
|---|---|---|---|---|
| ესე | მოსწავლე მსჯელობს დამაჯერებლად, მოჰყავს არგუმენტები და მაგალითები; ითვალისწინებს ეპოქას, წერილში ჩანს ნაწარმოების ცოდნა; | მოსწავლე მსჯელობს მეტ-ნაკლებად დამაჯერებლად, მოჰყავს არგუმენტები და მაგალითები; მოსწავლე მეტ-ნაკლებად ითვალისწინებს ეპოქას, მეტ-ნაკლებად ჩანს ნაწარმოების ცოდნა. | მოსწავლე მსჯელობს მეტ-ნაკლებად დამაჯერებლად, ვერ მოჰყავს არგუმენტები და მაგალითები; | მოსწავლე ვერ მსჯელობს დამაჯერებლად, ვერ მოჰყავს არგუმენტები და მაგალითები; |

ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

| კრიტერიუმი | ძალიან კარგი | კარგი | დამაკმაყოფილებელი | არადამაკმაყოფილებელი |
|---|---|---|---|---|
| ტექსტის მხატვრული ანალიზი | მოსწავლე აანალიზებს ტექსტს მხატვრულად, მოჰყავს ადეკვეტური მაგალითერბი. მსჯელობს მხატვრული ხერხების დანიშნულებასა და მწერლის პოზიციაზე. | მოსწავლე აანალიზებს ტექსტს მხატვრულად, მოჰყავს მეტ-ნაკლებად ადეკვეტური მაგალითერბი. მეტ-ნაკლებად მსჯელობს მხატვრული ხერხების დანიშნულებასა და მწერლის პოზიციაზე. | მოსწავლე აანალიზებს ტექსტს მხატვრულად, მოჰყავს არაადეკვეტური მაგალითები. | მოსწავლე ვერ აანალიზებს ტექსტს მხატვრულად. |
| არგუმენტირებული მსჯელობა; | ჯგუფი მსჯელობს არგუმუნტებით, ასაბუთებს დამაჯერებლად. | ჯგუფი მსჯელობს არგუმენტებით, მეტ-ნაკლებად დამაჯერებლად. | ჯგუფს უჭირს არგუმენტირება და დამაჯერებელი მსჯელობა. | ჯგუფი ვერ მსჯელობს არგუმენტებით. |
| დროის ლიმიტი | საუკეთესოდ იცავენ დროის ლიმიტს | საკმარისად იცავენ დროის ლიმიტს | უჭირთ დროის ლიმიტის დაცვა. | ვერ იცავენ დროის ლიმიტს. |
| თანამშრომლობა | ჯგუფის ყველა წევრი აქტიურია, მათ შორის არის პოზიტიური და საქმიქნი ურთიერთობა. | ჯგუფის თითქმის ყველა წევრი აქტიურია, მათ შორის არის პოზოტიური და საქმიანი ურთიერთობა. | ჯგუფის რამდენიმე წევრი აქტიურია. | ჯგუფის წევრები არ არიან აქტიურები. |

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

| კრიტერიუმები | დიახ | ნაწილობრივ | არა |
|---|---|---|---|
| მომზადებული პრეზენტაცია პასუხობს თემას | | | |
| პრეზენტატორი ფლობს აუდიტორიას (იყენებს ჟესტებს, მიმიკას, ინტონაციას) | | | |
| იცავს დროის ლიმიტს | | | |

დანართი N 1

სქემა მხატვრული ანალიზისათვის;

| მონაკვეთი | ჩემი განმარტება | მხატვრული ხერხი | მხატვრული ხერხის განმარტება | კავშირი სხვა ნაწარმოებთან; |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

დანართი N2

თვითშეფასების ცხრილი

| პრობლემა, რომელიც დავინახე ნაწარმოებში; | პრობლემა, რომელსაც ვხედავ დღესაც საზოგადოებაში; | ჩემი გზავნილი საზოგადოებას; |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| | | |

ხელმოწერა: ციცინო გოზაძე

თარიღი 23.04.2019

გაკვეთილის გეგმა

N5

24.04.2019

მოსწავლეთა რაოდენობა⁸: 10 /სსსმ მოსწავლე არ მყავს.

გაკვეთილის თემა: ვაჟა-ფშაველას ,,სტუმარ-მასპინძელი“ VIII თავი

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ შეძლოს მონაკვეთის მთავარი სათქმელის გააზრება, შეაფასოს ჯოყოლას პასუხი აღაზას აღიარებაზე; გააანალიზოს აღაზას შინაგანი სამყარო, იმსჯელოს აღაზას მხატვრული სახის შესახებ, შეაფასოს აღაზას მიერ ზვიადაურის დატირება.

გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან:

ქართ. **XI. 1**. მოსწავლეს შეუძლია საჯარო მოხსენების წარმოდგენა (ზეპირი გამოსვლა) კონკრეტული აუდიტორიის წინაშე კონკრეტული მიზნით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მკაფიოდ, ცხადად და გასაგებად აყალიბებს განსახილველი საკითხის არსს, პრობლემის განმსაზღვრელ ასპექტებს და საკუთარ მოსაზრებას;
- საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად იყენებს ციტატებს მხატვრული ნაწარმოებებიდან,

ქართ. XI. 8. მოსწავლეს შეუძლია კითხვის ეფექტური სტრატეგიების არჩევა და გამოყენება

• იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას შესწავლითი კითხვის დროს უცნობი სიტყვის მნიშვნელობის გასაგებად (კონტექსტი, სიტყვათა აგებულების ცოდნა, ლექსიკონი)

ქართ. XI. 9. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების წერილობით გაანალიზება. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

• აანალიზებს პერსონაჟთა სახეებს, აჯგუფებს კონფლიქტთან მიმართებით და განსაზღვრავს მათს როლს სიუჟეტის განვითარებაში; • მსჯელობს ავტორის პოზიციისა და იმის შესახებ, როგორ გამოიხატება ეს პოზიცია ნაწარმოებში;

---

| # | აქტივობის მიზანი და აღწერა | გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები | კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები | სასწავლო რესურსები (დაასაბუთეთ შინაარსობრივი რესურსების მიზანშეწონილობა სასწავლო მიზანთან მიმართებით) | დრო (წთ) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კლასის ორგანიზება (მისალმება, დასწრების შემოწმება) | ვერბალური | საერთო-საკლასო | საკლასო ჟურნალი | 1წთ |
| 2 | მოსწავლეებისათვის გაკვეთილის თემის, მიზნების, შეფასების კრიტერიუმების გაცნობა, მოლოდინების განსზღვრა; (მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის თემას, მიზანს, მოსწავლეების დახმარებით გამოკვეთს მოლოდინებს) | ვერბალური | საერთო-საკლასო | გაკვეთილის გეგმა; შეფასების რუბრიკები; ამობეჭდილი და თვალსაჩინოდ გაკრული; მომზადებული თვალსაჩინოება შეფასებას ხდის მოსწავლისათვის გამჭვირვალეს, ობიექტურსა და რელევანტურს. | 2 წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3 | აქტივობა **N1** საშინაო დავალების შემოწმება,<br>აქტივობის მიზანი: აღაზას მხატვრული სახის ანალიზი;<br>აქტივობის აღწერა: ჯგუფებს მიცემული აქვთ დავალებად თეზისები: ,,აღაზა და ზვიადაური“, ,,აღაზა და თემი“, ,,აღაზას შინაგანი ხმა“. | პრეზენტაცია | ჯგუფური | ფლიფჩარტი; | 6 წთ |
| 3 | აქტივობა **N 2** ტექსტზე მუშაობა<br>მიზანი: ტექსტის გაცნობა, მონაკვეთის მთავარი სათქმელის ანალიზი; ჯოყოლა და აღაზა;<br>აქტივობის აღწერა: მასწავლებელი ამატებს ,,ვაჟას ლექსიკონს“ უცნობი სიტყვების განმარტებებს, რომლების შეგვხდება დღეს ნაწარმოებში; შემდეგ კითხულობს ტექსტს, როდესაც წაიკითხავს მონაკვეთს: ,,მაგრამ ვიტირე, რა ვქნაო“ , ჩერდება და სვამს კითხვას: თქვენი აზრით, რას უპასუხებს ჯოყოლა, გაითვალისწინეთ, აღაზამ მიატოვა ის ხელფეხშეკრული და დაიტირა სხვა მამაკაცი, სხვა რჯულის, ასევე გაითვალისწინეთ ვაჟას პიროვნება.<br>აქვე ეუბნება მასწავლებელი იმასაც, თუ რამდენი უფიქრია ვაჟას ჯოყოლას ამ პასუხზე.<br>შემდეგ უკითხავს ჯოყოლას პასუხს; | აქტიური კითხვა; დისკუსია. | მთელი კლასი | სახელმძღვანელო; ლიტერატურა: სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები: ვაჟა-ფშაველა, II ნაწილი. (გამომცემლობა ,,დია“ თბილისი 2002). | 9 წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 4 | აქტივობა **N3** დისკუსია<br>აქტივობის მიზანი: მოსწავლე შეაფასებს ჯოყოლას პასუხს;<br>აქტივობის აღწერა: მასწავლებელი სვამს სადისკუსიო კითხვებს:<br>• შეაფასეთ ჯოყოლა თავისი პასუხის მიხედვით;<br>• თქვენ აზრით, როგორ მოიქცეოდა თანამედროვე მამაკაცი, როდესაც მსგავს აღიარებას მოისმენდა?<br>• რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჯოყოლა მზადაა დასაჯოს აღაზას შეურაცხმყოფელი? | მინიდისკუსია | მთელი კლასი | სადისკუსიო კითხვები;<br>სახელმძღვანელო; | 5წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 5 | აქტივობა **N4** :<br>მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ აღაზას შინაგანი სამყაროს ანალიზი, გამოიტანონ დასკვნა, თუ როგორ დაიტირა აღაზამ ზვიადაური, როგორც დამ, თუ როგორც ქალმა;<br>აქტივობის აღწერა: მასწავლებელი კლასს უკითხავს თამაზ ჩხენკელისა და კიტა აბაშიძის თვალსაზრისებს აღაზას შესახებ, კლასს ყოფს ორ ჯგუფად, ერთ ჯგუფს სთხოვს, ტექსტიდან ამოიწერონ არგუმენტები და დაასაბუთონ კიტა აბაშიძის მოსაზრება, მეორე ჯგუფს სთხოვს, დაასაბუთონ თამაზ ჩხენკელის მოსაზრება.<br>ჯგუფები ირჩვევენ პრეზენტატორებს და აკეთებენ პრეზენტაციებს. | კითხვა;<br>აქტიური მსჯელობა | ჯგუფური | ფლიფჩარტი, სახელმძღვანელო | 14 წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 6 | აქტივობა **N5**საშინაო დავალების მიცემა: აქტივობის მიზანი: შემოქმედებითი უნარების განვითარება; აქტივობის აღწერა: მასწავლებელი კლასს ყოფს სამ ჯგუფად და სთხოვს, წარმოიდგინონ, რომ არიან ჟურნალისტები, დაწერონ კითხვები, რომლითაც ჩამოართვამენ ინტერვიუს: ა) ჯოყოლას; ბ) აღაზას; გ) ჯოყოლას რომელიმე ტანასოფლელს; | ინტერვიუ | ჯგუფური | სახელმძღვანელო | 2 წთ |
| 7 | აქტივობა **N 6**შეფასება<br>მასწავლებელი აკეთებს გაკვეთილის შეჯამება-შეფასებას, მოსწავლეები ავსებენ გასასვლელ ბილეთებს :<br>დღეს მე გავიგე...<br>ჩემი აზრით...<br>მაინტერესებს....<br>ვერ გავიგე... | შეფასება თვითშეფასება | ინდივიდუალური | შეფასების რუბრიკები | 6 წთ |

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლე შეძლებს:

- ✓ გაიაზროს მონაკვეთის მთავარი სათქმელი;
- ✓ შეაფასოს ჯოყოლას პასუხი აღაზას აღიარებაზე;
- ✓ გააანალიზოს აღაზას შინაგან სამყარო,
- ✓ იმსჯელოს აღაზას მხატვრული სახის შესახებ;
- ✓ შეაფასოს აღაზას მიერ ზვიადაურის დატირება.

საშინაო დავალების შეფასების რუბრიკა;

| კრიტერიუმი | ძალიან კარგი | კარგი | დამაკმაყოფილებელი | არადამაკმაყოფილებელი |
|---|---|---|---|---|
| თეზისები | მოსწავლე აყალიბებს თეზისებს; მსჯელობს დამაჯერებლად, მოჰყავს არგუმენტები და მაგალითები; | მოსწავლე მსჯელობს მეტ-ნაკლებად დამაჯერებლად, მოჰყავს არგუმენტები და მაგალითები; | მოსწავლე მსჯელობს მეტ-ნაკლებად დამაჯერებლად, ვერ მოჰყავს არგუმენტები და მაგალითები; | მოსწავლე ვერ მსჯელობს დამაჯერებლად, ვერ მოჰყავს არგუმენტები და მაგალითები; |

ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

| კრიტერიუმი | ძალიან კარგი | კარგი | დამაკმაყოფილებელი | არადამაკმაყოფილებელი |
|---|---|---|---|---|
| არგუმენტირებული მსჯელობა; | ჯგუფი მსჯელობს არგუმუნტებით, ასაბუთებს დამაჯერებლად. | ჯგუფი მსჯელობს არგუმენტებით, მეტ-ნაკლებად დამაჯერებლად. | ჯგუფს უჭირს არგუმენტირება და დამაჯერებელი მსჯელობა. | ჯგუფი ვერ მსჯელობს არგუმენტებით. |
| დროის ლიმიტი | საუკეთესოდ იცავენ დროის ლიმიტს | საკმარისად იცავენ დროის ლიმიტს | უჭირთ დროის ლიმიტის დაცვა. | ვერ იცავენ დროის ლიმიტს. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თანამშრომლობა | ჯგუფის ყველა წევრი აქტიურია, მათ შორის არის პოზიტიური და საქმიქნი ურთიერთობა. | ჯგუფის თითქმის ყველა წევრი აქტიურია, მათ შორის არის პოზოტიური და საქმიანი ურთიერთობა. | ჯგუფის რამდენიმე წევრი აქტიურია. | ჯგუფის წევრები არ არიან აქტიურები. |

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

| კრიტერიუმები | დიახ | ნაწილობრივ | არა |
|---|---|---|---|
| მომზადებული პრეზენტაცია პასუხობს თემას | | | |
| პრეზენტატორი ფლობს აუდიტორიას (იყენებს ჟესტებს, მიმიკას, ინტონაციას) | | | |
| იცავს დროის ლიმიტს | | | |

დისკუსიის შეფასების რუბრიკა

| კრიტერიუმი | მაღალი დონე | საშუალოო დონე | დაბალი დონე |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| მოსმენა | ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს | ხშირად უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს | იშვიათად უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს |
| საუბარი | მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელს | ძირითადად მეტყველება გასაგებია და უყურებს მსმენელს | მკაფიოდ მეტყველება არამკაფიოა და მსმენელსებს უჭირთ გაგება |
| მონაწილეობა | უჩვენებს ინტერესს დისკუსიის თემისადმი საჭირო კომენტარებით და აზრების გამოთქმით | ძირითადად გამოხატავს ინტერესს. კომენტარები და აზრები ყოველთვის არაა თემის გარშემო | მცირე ინტერესი აქვს. არ გამოხატავს ან ვერ უკავშირებს თავის მოსაზრებებს სადისკუსიო თემას |
| თანამშრომლობა | თანამშრომლობს თანაკლასელებთან,აცლის სხვებს აზრის გამოთქმას და იცავს დისკუსიის წესებს | ძირითადად თანამშრომლობს თანაკლასელებთან,ზოგჯერ ერთვება სხვის საუბარში. ძირითადად იცავს დისკუსიის წესებს | იშვიათად თანამშრომლობს და იცავს დისკუსიის წესებს |

დანართი N1

თვალსაზრისი:

კიტა აბაშიძე:

ჯოყოლას ცოლი ზვიადაურს დაინახავს თუ არა, მისი ეშხით აინთება... მსხვერპლად შეწირვის შემდეგ ზვიადაურის სიკვდილი თვალიდან არ შორდება... მართალია, მას საფლავებიდან ესმის მკვდრების წყრომა და ჩივილი..მაგრამ აღაზა ეომება ყველას, სულიერსა და უსულოს, იგი დრეს სიყვარულს შეუპყრია, იგი მისი მორჩილია, იგიც ერთგვარი ურჩია თემისა, რომელიც თავის გრძნობასა და ზრახვას არავის უმორჩილებს...

თამაზ ჩხენკელი:

არის თუ არა ზვიადაურისადმი თანაგრძნობაში სატრფიალო ნიუანსი? არავითარ ტრფობაზე და, მით უმეტეს, ,,ეშხით ანთებაზე“ ლაპარაკი არ შეიძლებბა აქ... თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღაზას გრძნობა ზვიადაურისადმი ჩვეულებრივ ტანაგრძნობაზე მეტი რამ არის, რაკი იგი ღვთის, თემისა და ქმრისადმი დამოკიდებულების მისთვის აქამდე გაშინაგნებულ ტრადიციებს არღვევს.“

ხელმოწერა: ციცინო გობაძე

თარიღი: 24.04.2019

რეფლექსია

სსიპ  წალკის მუნიციპალიტეტის, გუმბათის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ციცინო გობაძე;

გაკვეთილის თემა:  ვაჟა-ფშაველას ,,სტუმარ-მასპინძელი“, VIII თავი;

2019 წლის 25 აპრილს მე-11 კლასში  ჩვატარე გარედაკვირვების გაკვეთილი ქართულ ენასა და ლიტერატურაში; გაკვეთილი დავგეგმე ეროვნული სასწავლოო გეგმის  მიხედვით, საგნობრივი სტანდარტის გათვალისწინებით.

გაკვეთილის მიზანი იყო მოსწავლეებს გაეანალიზებინათ მონაკვეთის მთავარი სათქმელი, შეეფასებინათ ჯოყოლას პასუხი აღაზას აღიარებაზე, ემსჯელათ აღაზას მხატვრული სახის შესახებ;

აქტივობები დაგეგმილი მქონდა მიზნის შესაბამისი, გაკვეთილი წარიმართა საინტერესოდ, დაგეგმილი აქტივობები არმოჩნდა ეფექტური, გაკვეთილმა მიზანს მიაღწია.

საშინაო დავალებად ჯგუფებს მიცემული ჰქონდათ გეგმის მიხედვით უნდა ჩამოეყალიბებინათ მეშვიდე თავიდან ,,აღაზა და თემი“, ,,აღაზა და ზვიადაური“, ,,აღაზას შინაგანი ხმა“, ამ დავალებამ ხელი შეუწყო მოსწავლეებს კარგად გაეაზრებინათ წინა მასალა და, შესაბამისად,  გაუმარტივა ახალი მასალის გაგება. ჯგუფებმა გააკეთეს საშინაო დავალების პრეზენტაცია, რომლიდანაც ჩანდა, რომ მათ დაკვირვებით წაეკითხათ და გაეგოთ წინა მასალა, ბოლოს კლასს დავუსვი კითხვა, თუ რომელ პერსონაჟს დაუკავშირებდნენ აღაზას იმ მხრივ, რომ მას უფლება არ ჰქონდა თემისთვის წინააღმდეგობა გაეწია, მათ მალე გაიხსენეს შუშანიკი და დაუკავშირეს, რითაც გამოჩნდა, წინარე ცოდნაც.

ახალი მასალა მივაწოდე ტექსტის ნაწილ-ნაწილ კითხვით და ანალიზით, მე წავიკითხე მონაკვეთები ტექსტიდან, კითხვის დროს მნიშვნელოვან მომენტებთან ვჩერდებოდი და ვუსვამდი სააანალიზო კითხვებს, ვუსვამდი ასევე ისეთ კითხვებს, რომლის საშუალებითაც მოსწავლეები გამოთქვამდნენ ვარაუდებს, ამ აქტივობამ ხელი შეუწყო მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციის ამაღლებას;

ახალი მასალის შინაარსის გაგების შემდეგ გავმართეთ დისკუსია, მოსწავლეებმა შეაფასეს ჯოყოლას პასუხი, დაუკავშირეს დღევანდელობას, თუ როგორ მოიქცეოდა თანამედროვე მამაკაცი, როდესაც მსგავს აღიარებას მოისმენდა, დისკუსია საინტერესოდ წარიმართა.

დისკუსიის შემდეგ კლასს წავუკითხე განსხვავებული თვალსაზრისები აღაზას მიერ ზვიადაურის დატირების შესახებ, კლასი გავყე ორ ჯგუფად, ერთ ჯგუფს ვთხოვე, დაესაბუთებინა, რომ აღაზამ ზვიადაური დაიტირა როგორც ქალმა, ხოლოო მეორე ჯგუფს უნდა დაესაბუთებინა, რომ აღაზამ ზვიადაური დაიტირა როგორც დამ, პირველმა ჯგუფმა დამაჯერებლად ისაუბრა, მოიყვანა საინტერესო არგუმენტები, მათ ტექსტში ყურადღება მიაქციეს ლირიკულ გადახვევებსა და პოეტის შეხედულებებსაც, მეორე ჯგუფს ჰქონდა ადეკვატური არგუმენტები, თუმცა დამაჯერებლობა ეკლო, ამიტომ პრეზენტაციის დროს რამდენიმე არგუმენტით მეც დავამატე, ბოლოს დავსვი კთხვა,

თუ თვითონ რომელ კრიტიკოსს ეთანხმებოდნენ,  მოსწავლეთა უმრევლესობამ ჩათვალა, რომ აღაზამ როგორც ქალმა, ისე დაიტირა, მეც ჩემი შეხედულება დავამატე  და მოვიყვანე ჩემი არგუმენტი, თუ რატომ ვფიქრობდი ასე.

ბოლოს წყვილებმა გააკეთეს თვითშეფასება, მათ თვითშეფასების დროს ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე გააკეთეს ანალიზი, მაგალითად, ჩემთვის საინტერესო იყო, რომ ერთმა თქვა: გავიგე, რომ დევების მართლა სჯეროდათო.

თვითშეფასების დროს გამოიკვეთა, რომ გაკვეთილმა მიზანს მიაღწია, გაკვეთილი დავასრულე ვაჟას სიტყვებით: „ლამაზად შვილის აღმზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა!“ ამ სიტყვებით მადლობა გადავუხადე მოსწავლეებს საინტერესო გაკვეთილისათვის და მათ დედებს კარგი  შვილების აღზრდისათვის.

ვთვლი, რომ ჩემი გაკვეთილის დადებითი მხარეა არგუმენტირებულ მსჯელობაზე ყურადღების გამახვილება, ყოველთვის ვცდილობ, მოსწავლეთა პასუხები იყოს დასაბუთებული, ამით ისინი ეჩვევიან დამაჯარებელ მსჯელობას.

ასევე ძლერ მხარედ მიმაჩნია მოსწავლეთა ჩართულობაც, ვცდილობ, მაქსიმალურად გავზარდო მათი როლი, ჩემს გაკვეთილზე აქტიური იყვნენ მოსწავლეები,ჰქონდათ თავიანთი აზრის გამოხატვის საშუალება, არ ვცდილობდი ჩემი აზრის მოხვევას,  მე ფასილიტატორის როლში ვიყავ. მათ კარგად გაიხსენეს და გააკეთეს კავშირი როგორც სხვა ნაწარმოებთან, ისევე დღევანდელობასთან. იმსჯელეს დღევანდელი ახალგაზრდობის შესახებაც, იმსჯელეს ვაჟას პიროვნულ თვისებეზეც.

გაკვეთილის მსვლელობის დროს მოსწავლეებს ვაძლევდი განმავითარებელ შეფასებებს.

გაკვეთილის გეგმაში  მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შემიტანია,ყველა ქტივობა და დრო გეგმის მიხედვით მქონდა, მხოლოდ  თვითშეფასების ფორმა შევცვალე, გეგმის მიხედვით ინდივიდუალური მქონდა, მაგრამ წყვილებში გავაკეთე,  ჩავთვალე, წყვილები ერთმანეთს გაუზიარებდნენ აზრებს და უკეთესად გააკეთებდნენ, თანაც, ვიფიქრე, ინდივიდუალური დიდი დროს წაიღებდა, რადგან თითოეულს სამ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი.

გაკვეთილის დაწყების დროს კომპიუტერი გაითიშა, რამაც ცოტათი ხელი შემიშალა,  მინდოდა განწყობის შექმნისათვის, გაკვეთილის დასაწყისში  წამეკითხა ვაჟას კაფიიდან ერთი ლამაზი სტროფი, თუმცა კომპიუტერი დროზე რომ ვერ ჩავრთე,  ამან ამაღელვა და რომ არ შემშლოდა აღარ წავიკითხე, რამაც გული დამწყვიტა. ასევე მიზანი უნდა გამეშუქებინა სლაიდით, და რომ ვერ გავაშუქე,  ზეპირად ვუთხარ.

კომპიუტერის გათიშვამ ხარვეზი შექმნა დავალების შემოწმების დროსაც, რადგან საშინაო  დავალების კითხვები უნდა გამეშუქებინა, მოსწავლეებს კი პასუხები უნდა წაეკითხათ, ჩართვა რომ დროზე ვერ მოვახერხე, მოსწავლეებს ვთხოვე, თვითონ წაეკითხათ კითხვებიც და პასუხებიც. მეორე ჯგუფმა რომ დაიწყო დავალების პრეზენტაცია, კომპიუტერიც ჩაირთო და ჩვეულებრივ განვაგრძეთ.  ასე რომ, კომპიუტერის პრობლემა მოვაგვარე ისე, რომ გაკვეთილის მსვლელობაში ხელი არ შემშლია.

გაკვეთილის სუსტ მხარედ მიმაჩნია ის, რომ ჯგუფური სამუშაოს პრეზენტაციის დროს განმავითარებელი შაფასება კარგად არ დავაკონკრეტე, რა იყო შლიერი არგუმენტი და რა სუსტი.

ამავე გაკვეთილის ხელმეორედ ჩატარების დროს:

- ✓ კომპიუტერის საკითხს ყურადღებით მივუდგები, დროზე მოვაწესრიგებ და დავრწმუნდები, რომ გამართულია.
- ✓ ლექსს, რისი წაკითხვაც დაგეგმილი მექნება, დავწერ, რომ მშვიდად წავიკითხო.
- ✓ ჯგუფური სამუშაოს ძლიერ არგუმენტებს მეც ჩამოვწერ წინასწარ და მექნება, რომ ადვილად გავაანალიზო მათი არგუმენტები, ასევე ყურადღებით ვიქნები შეფასების დროს და კარგად დავუკონკრეტებ ძლიერ და სუსტ მხარეებს.

ციცინო გობაძე

27/04/2019